ქუთაისის მუნიციალიტეტის მერის
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ოქმი №24

ქალაქი ქუთაისი

28 თებერვალი, 2020 წელი
ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო დარბაზი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ნოდარ ჯიქია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი;
2. ინგა აბრამიძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
3. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი "თაობათა დიალოგი" თავმჯდომარე;
4. ვლადიმერ კვიტატიანი - ააიპ ინოვაციური განვითარების ფონდი ,,დრანდა";
5. ლია გვენეტაძე - მწერალი, ჟურნალისტი;
6. ლევან როხვაძე - თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე;
7. გიორგი ჭიჭინაძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
8. გია ცალანი - დევნილთა სათემო კავშირის უფროსი;
9. თემურ ამყოლაძე - მწერალი;
10. ქრისტინე მიქაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი;
11. ქეთევან ბერძენიშვილი - არასამთავრობო ორგანიზაცია უფლებებისა და განათლებისათვის;
12. ნინო ხუხუა - ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს აღმასრულებელი დირექტორი;
13. ანა ლორთქიფანიძე - აქტიური მოქალაქე.

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 22 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 13, სხვადასხვა მიზეზის გამო არ ესწრებოდა 9 წევრი.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების 4.8 მუხლის თანახმად საბჭო არის გადაწყვეტილებაუნარიანი, რადგან მას სიითი შემადგენლობის უმრავლესობა ესწრება.

სხდომას უძღვებოდა: ნოდარ ჯიქია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
გიორგი ჭიღვარია - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი;
ნინო თვალთვაძე -ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;
რუსუდან ჩინჩალაძე - ააიპ ქუთაისის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს უფროსი;
ბექა ყურაშვილი - ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური;
ეკა გრიგოლაშვილი - მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ზურაბ ხურციძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი.

ნოდარ ჯიქია (ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე) წარადგინა დღის წესრიგი, რომლის მიხედვით წარიმართა შეხვედრა.

დღის წესრიგი

21-ე სხდომა

1. რეგისტრაცია
2. ნოდარ ჯიქია (საბჭოს თავმჯდომარე) - დღის წესრიგის გაცნობა და კენჭისყრა.
3. შავი ზღვის აუზის პროგრამის ფარგლებში, ევროკომისიისგან გრანტის მიღების თაობაზე; მომხსენებელი: ნინო თვალთვაძე, ქუთაისის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი;
4. ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ევროპული ქარტია; მომხსენებელი: ნინო თვალთვაძე, ქუთაისის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი;
5. ნიკიტინის ქუჩის მიმდებარედ, რიონის სანაპიროზე სკვერის განთავსების პროექტის განხილვა; მომხსენებელი: ნინო თვალთვაძე, ქუთაისის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი და შესაბამისი ააიპის ხელმძღვანელები;
6. 2020 წელს განსახორციელებელი ახალი პროექტების შესახებ ინფორმაცია. მომხსენებელი: ნინო თვალთვაძე, ქუთაისის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი.
7. სხვადასხვა:

ახლგაზრდული ცენტრის მიმდებარე ტერიტორია, შარტავა, აბაშიძის კვეთაზე - გაჩერება. - ინიციატორი ნოდარ ჯიქია.
სიჩქარის შემაფერხებელი ბარიერის განთავსება, თვითნებური (არ არის ფორმატი) - ვინ აკონტროლებს? - ინიციატორი ქეთევან ბერძენიშვილი.
ზვიად გამსახურდიასა და ჟიული შარტავას ქუჩებზე არ რეგულირდება შუქნიშანი - ინიციატორი ნოდარ ჯიქია.
შშმ პირების ასასვლელების მოწესრიგება და სტანდარტების დაცვა - ინიციატორი ანა ლორთქიფანიძე.
ნოდარ ჯიქია - სხდომის დახურვა.

1. სხვადასხვა:

რუსუდან ჩინჩალაძე - ააიპ ქუთაისის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს უფროსმა ისაუბრა ნიკიტინის ქუჩაზე მიმდიბარე სკვერის მშენებლობის საკითხზე. აღნიშნა, რომ მშენებლობის მიხედვით გათვალისწინებულია კანონის ყველა სტანდარტის დაცვით პანდუსი შშმ პირებისთვის, რაც საბჭოს წევრის ანა ლორთქიფანიძის კითხვაზე პასუხი იყო.
ხელშეკრულება კონტრაქტორთან დადებულია და მაისამდე იქნება წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი.
ქუჩის მხატვრობით იქნება დაფარული კიბის ნაწილები.

გიორგი ჭიღვარია - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა საბჭოს წევრის ანა ლორთქიფანიძის კითხვაზე პასუხად, როდის მოხდება ქუთაისის შშმ პირებისთვის ადაპტირება და ხმოვანი შუქნიშნების დაყენება, უპასუხა, რომ 2 ხმოვანი შუქნიშანი არის ქალაქში. შესყიდვა მიმდინარეობს ახალი შუქნიშნების.
წყლის 24 სათიან მოწოდებაზე ქალაქი დაახლოებით მარტის ბოლოს გადავა.

ნინო თვალთვაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ მრჩეველთა საბჭოს გააცნო ის პროექტები, რომლებიც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებით და პროგრამებით ფინანსდება, მათ შორის შავი ზღვის აუზის პროგრამა, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ევროპული ქარტია, სოციალური პროგრამები, რომლებიც მრავალშვილიან ოჯახებს და შშმ პირებს შეეხებათ. მან ასევე ისაუბრა ,,შენი იდეა შენი ქალაქისათვის“ გამარჯვებული პროექტის მიმდინარეობაზე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ 2019 წელს პარტნიორებთან ერთად მოლდოვა, უკრაინა, რუმინეთი შეიტანა განაცხადი ევროკომისიის მიერ შავი ზღვის აუზის პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ გრანტზე, რომელიც ეხებოდა ტურიზმის ხელშეწყობას და განვითარებას აღნიშნულ ქვეყნების ქალაქებში. პროექტი გვთავაზობს ტრანსასაზღვრო ტურიზმისა და კულტურული მეწარმეობის განვითარებას, რათა გაიზარდოს ინვესტიციები და ტურისტების რაოდენობა. პროექტი მიზნად ისახავს შავი ზღვის აუზში აქტიური ტურისტული პოტენციალის გაზრდას და აქტიური ტურისტული ადგილების ათვისებას. ამ პროექტის ფარგლებში, განხორციელდება ინვესტიციები 3 აქტიურ ტურისტულ ცენტრში, რაც ასევე შესაძლებელს გახდის ტრანსსასაზღვრო ტურებს პროექტის დაინტერესებული მხარეებისთვის. ტურ-ოპერატორები, ადგილობრივი ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც შესაბამისი ტურისტული და კულტურული საქმიანობა აქვთ BSB–დან, იქნება პროექტის სამიზნე ჯგუფები და ისარგებლებენ დოკუმენტური და სარეკლამო ვიზიტებით. პროექტი მიზნად ისახავს ერთობლივი B2B კონფერენციებს. პროექტის ტრანსსასაზღვრო აქტივობა მიზნად ისახავს ადგილობრივ და საერთაშორისო აქტორების, აქტიური ტურისტული პოტენციალის სტიმულირებას და აქტიური ტურიზმის ცენტრების ტრანსსასაზღვრო პარტნიორობის ხელშეწყობას. პარტნიორები გვთავაზობენ ინოვაციურ პროექტს, რომელიც ერთობლივად შეუწყობს ხელს აქტიურ ტურიზმს BSB- ში, თანამედროვე ინსტრუმენტების IT ტექნოლოგიების გამოყენებით. პროექტი 2 წლიანია და ქ. ქუთაისის მერია დაფინანსდება 147 068,25 ათასი ევროთი, აქედან ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობა განისაზღვრება 8 % - 12 788. 55 ათასი ევროთი. საერთო ჯამში თანხა შეადგენს 159 856.80 ათას ევროს.

რუსთავის, ქუთაისის, ოზურგეთისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტების მერებმა ,,ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ'' ევროპულ ქარტიას მოაწერეს ხელი. დოკუმენტი, რომელიც ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს (CEMR) მიერ, 2006 წლის მაისში შეიქმნა, მუნიციპალიტეტებში გენდერული ბალანსის დამკვიდრებასა და ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის გასაუმჯობესებლად, საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში, ღონისძიებების გატარებას ისახავს მიზნად. ამ ვალდებულების განსახორციელებლად თითოეული ხელმომწერი მხარე ვალდებულია შეადგინოს თანასწორობის სამოქმედო გეგმა, სადაც განსაზღვრული იქნება ის პრიორიტეტები, ქმედებები და რესურსები, რომლებიც მიზნის მისაღწევადაა საჭირო. ქარტიის წევრი ევროპის 1600-ზე მეტი ქალაქი და ადგილობრივი თვითმმართველობაა. როგორც აღინიშნა ჩვენი ვალდებულებაა შევადგინოთ სამოქმედო გეგმა. ამავე დროს ჩვენ ვართ წინ წასული, რადგან გენდერული თანასწორობის საბჭოს უკვე გააჩნია სამოქმედო გეგმა და ჩვენ მოვახდენთ მის დაახლოებას ამ დოკუმენტთან. სამოქმედო გეგმა აიტვირთება ევროსაბჭოს საიტზე და ექსპერტების მიერ მოხდება მისი განხორციელების მონიტორინგი.

გიორგი ჭიღვარია - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა ისაუბრა როგორც იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე , რომლებიც გასულ წელს დაიწყო და დასრულდა, ასევე წელს დაგეგმილ მასშტაბურ პროექტებზე- გზების, სკვერების, სპორტული მოედნების, სახელოვნებო, სპორტული და საჯარო სკოლების რეაბილიტაციაზე , რომლებიც ეტაპობრივად განხორციელდება ქუთაისში.

საგზაო-სარეაბილიტაციო პროექტების ფარგლებში, ქუთაისში ერთდროულად მიმდინარეობს რამდენიმე ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. სამუშაოები დაიწყო მახვილაძის ქუჩაზეც. აქ კეთდება როგორც გზის საფარი, ასევე მოეწყობა ტროტუარი და ღვარსადენი სისტემა. გზის რეაბილიტაციის სამუშაო პროცესი ქუთაისის მერმა გიორგი ჭიღვარიამ მოინახულა. პროექტის ღირებულება 900 000 ლარზე მეტია და სარეაბილიტაციო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია ,,პალადა" ასრულებს. რეაბილიტაცია მაისის ბოლოს დასრულდება.

ამ დროისთვის ქუთაისის მასშტაბით 30-ზე მეტ ინფრასტრუქტურულ პროექტზე მიმდინარეობს სამუშაოები, ეწყობა გზები, სკვერები და დაიწყო სპორტული დარბაზების რემონტი. მიმდინარე წელს ქუთაისში ინფრასტრუქტურისთვის 20 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯება. შეკეთდება შიდა საუბნო და ცენტრალური გზები .

სრული ნუსხა იხილეთ დანართად.

ქალაქის მერმა უპასუხა ბაგრატის ტაძრის ციტადელთან სასტუმროს მშენებლობის საკითხს. როგორც ქალაქის მერმა აღნიშნა აღნიშნული საკითხი არ წარმოადგენს მერიის კომპეტენციას და მეპატრონეს ყველა საბუთი წესრიგში აქვს. კერძოდ მფლობელს კანონიერი მემკვიდრეობის მოწმობა გააჩნია.

ლევან კოხრეიძის ქუჩაზე (აფხაზეთის ომის გმირი) - წლევანდელ ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული ფირნიშების დაყენება და შესაბამისად ამ ქუჩაზე ფირნიშების განთავსება ვერ მოხერხდება.

ეკა გრიგოლაშვილი - მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილევ ისაუბრა ,,გამჭირვალობა საქართველოს“ მიერ დასმულ კითხვაზე. კერძოდ, განსაზღვრულია თუ არა კონკრეტული ტერიტორიები, სადაც მოქალაქეებს ეკრძალებათ თავისუფალი აზრის გამოხატვა, რაზედაც მან უპასუხა, რომ ადმინისტრაციული სამართალდამცავთა კოდექსი არ არის მითითებული კონკრეტული ტერიტორია, მხოლოდ არჩევნების დროს ხდება ასეთი ტერიტორიების გამოყოფა. არსებობს ჩანაწერი 150 მუხლის პირველი ნაწილი, სადაც წერია სად და რა არ შეიძლება. აღნიშნული მუხლის დარღვევისთვის ფიზიკური პირი ჯარიმდება 500 ლარით და უფრო გაზრდილი ჯარიმაა იურიდიულ პირზე.
თეატრი არის კულტურული ძეგლის სტატუსის მატარებელი - გარემო ითვლება კულტურულ მემკვიდრეობის დაცვის ძეგლად.
ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მხოლოდ სიტყვიერი შენიშვნა მისცა, თუმცა სცნო სამართალდარღვევად. ანუ, სასამართლომ სცნო სამართალდამრღვევად პირი, მაგრამ უმნიშვნელოდ და ჯარიმა მოუხსნა. სააპელაციომ ასევე სცნო დამრღვევად და მისცა პირს გაფრთხილება.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 25-ე სხდომა გაიმართება 30 მარტს 14:00 საათზე მერიის სათათბირო დარბაზში.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჯიქია

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი ნუგზარ კოხრეიძე